დიდ ვაჟას მივბაძე და უტყვი ქართული მინა-წყლის ამეტყველება-ალაპარაკება რამდენადმე შეეძლო. ქვემოთ გაგაცნობთ ტანჯული ქართული მინის ვედრება-ამოძახილს, აი ისიც:

„ჩემო გზააგნეულო, ჯანსაღ აზროვნებას მოკლებულ შვილებო! ასე როგორ დაგაბრმავებს, გამოგათავყვანეს და დაგაჩანჩანაკებს, რომ ველარ ხედავთ, სად, რომელ კონტინენტზე, რომელი ქვეყნების გარემოცვაში ვცხოვრობთ; გვედრებით, გაივით და გაითავისეთ ის ქვეყნარტება, რომ 700-კილომეტრიანი საერთო საზღვარი გაქვს დიდ ქვეყანა რუსეთთან, რომელიც ძალზე განანყენებულია იმით, რომ მისი მტერი ნატოს სამხედრო ბლოკი ზედ მის საზღვრებთან მიგყავთ, ეხუტებით და ეთავყვანებით. **ღმერთმა არ ქნას, რომ ამ ვერაზ ნატოში გაანავრონ ჩემი ტანჯული და განცოტავებული სხეული, თორაე სოსხუსა და ცხინვალს საბოლოოდ დავკარგავ და ჩემი სხეულის სხვა ნაწილებსაც — მარნეულის მხარისა და ჯავახეთისაზე ზედ მივაყოფებოდი; რატომ ვერ ხედავთ ამ სინამდვილეს?**

გაოცებული ვარ — რა უნდა ჩემს სხეულზე გადამოთიერი ავსო-ის ყოფილი პრაზიდიენტის — რეიგანის ქაბლს და მეორე ყოფილი პრაზიდიენტის — ბუშის სახელს ჩემს ქუჩაზე? მივასუსხეთ, დაიხსნაუთეთ! ენით განმოთქმეთ საშიდნება, როცა თქვენს ასეთ დარჩანაკებას ვხედავ. ჩემი სხეულის დაუპირებელაბი მთარაბა სააკაშვილმა ძალაძე გორიდან აღაგული სტალინის ქაგლი სოფელ კარაღეთში აქალ-ბარდაში რომ პირქვე დამხობილი დააბოლო, ამაზე რატომ დუმხართ? სირცხვილი თქვენი! იოსებ სტალინი, ჩემი სახელოვანი შვილი, მთელი დედამიწის სიდიადეა და მის შვილობის ნებისმიერი ხალხი ინატრებდა; თქვენ კი, დოლარებზე მონებად გაყიდულაბო, ძია სემის სურვილი აღასრულეთ. არ ეღირსოს სააკაშვილს ჩემს სხეულზე ფეხის დადგმა — ის სამუდამო განდევნილობას იმსახურებს. ოპ, რა ბედნიერი ვყოფილვარ მაშინ, როცა ჩემი შვილები თავს მეველებოდნენ და სიყვარულს, ჩემთან ერთად, ჩემი საამაყო შვილის — იოსებ სტალინის მისამართით სადიდებულ ჰიმნში ასე გამოხატავდნენ:

„იდიდ მარად, ჩემო სამშობლოვ, გმირთა კერა ხარ ჩაუქრობელი; მსოფლიოს მიეც დიდი სტალინი, ქვეყნად მონობის დამამხობელი...“

დღეს რას ვხედავთ? 30 წელზე მეტია, რაც თქვენ, ჩემო შვილებო, გზააგნეულაბი, გამოაპოლიტიკურად დაბრმავებულაბი, ყოველგვარ დიპლომატიასა და სალ აზროვნებას მოკლებულაბი დააბიჯებთ ჩემს სხეულზე — შავი თეთრისაგან და თეთრი შავისაგან ვერ გაბირჩვიათ. თქვენი დაბრმავება მაშინ დაიწყო, როცა 1988-1989 წლების მიტინგებზე გაიხსნა რუსების შეურაცხმყოფელი შეპახილება: „რუსო, ნაეთრია“, „რუსო, ბროდიაბა“, „რუსო, ოკუპანტო“ და მისთანები. გაგნებულმა რუსებმა მაშინ ავადმყოფ ხალხად შეგვრაცხეს; იმხანად მე ეს ძალიან ვინყინე, მაგრამ შემდეგ წლებში, როცა თქვენი ბევრი სისულელე ვინხილე, დაგრწმუნდი, რომ ჩემი შვილების მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც ავადმყოფია.

ჩემმა მოლაღატე შვილებმა — შავარდნაძემ და სააკაშვილმა ჩემს სხეულზე ჩემივე შვილების ნინაღმდეგ საომარი ოპერაციები გამართეს, ეს ხომ დიდი უგუნურობა იყო? სააკაშვილმა ცხინვალში შეჭრისას იქ მშვიდობისმყოფელებად ჩაყენებული რუსები რომ ჩაკლა, მათი დედების ატირებას პუტინი აპატიებდა? არ აპატია და სააკაშვილს კუთხით ქვა ასროლინა, ჰალსტუხიც მაგრად აღეჭვინა. **სააკაშვილი ძია სემმა გააბრინა, რომელიც მიხანაში მართლად ენავე ჩემი შვილების — ქართველების ზიზღით, სიკუპვილით, მუდმივად მტრული განწყობით დამუხტვის ვერაგულ პოლიტიკას რუსეთისა და მისი ხალხების მიმართ. დღეს ჩემი სხეულის 20 პროცენტი ოკუპირებულია რომ არის, დიდწილად ჩემი გზააგნეული შვილების ბრალია, რომლებმაც აიპყრეს რუსეთი, ოკუპანტი გამხდარიყო.**

დღეს, ჩემო შვილებო, რუსების ნდობის დაბრუნება ძალიან გაძნელებულია, ეს დროსა და მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს. არადა, ჩემი სხეულის ერთადერთი გამამთლიანებელი და ჩემთან ერთად ჩემი შვილების მომავლის გადამრჩენი მხოლოდ რუსეთია და არა ცხრამთისგადამელი იანკები, პედერასტ-ლიბერასტები; ინამეთ ეს აქსიომური ქვეყნარტება, ძია სემისაგან მოსყიდულო და გამოთავყვანებულო ჩემო შვილებო!

ჩემო შვილებო, დღეს რუსეთის ნდობის მოსაპოვებლად საჭიროდ მიმაჩნია:

1. კონსტიტუციიდან ამოაგდოთ ნატოსადმი ტროფობა — უარი მას;
2. აიღეთ ჩემი სხეულიდან რეიგანის ქეგლი, გააუქმეთ ბუშის სახელი ჩემს ქუჩაზე;

ღმერთმა არ ქნას, რომ ამ ვერაზ ნატოში გაანავრონ ჩემი ტანჯული და განცოტავებული სხეული, თორაე სოსხუსა და ცხინვალს საბოლოოდ დავკარგავ და ჩემი სხეულის სხვა ნაწილებსაც — მარნეულის მხარისა და ჯავახეთისაზე ზედ მივაყოფებოდი — რატომ ვერ ხედავთ ამ სინამდვილეს?

ვედრება და ქანთი ქართული მიწისა

რა არის სჭირო, საქართველომ დასავლეთის პოლიტიკურ კორონავირუსს თავი რომ დააღწიოს, გადარჩეს და ტერიტორიულად გათლიანდეს



სააკაშვილი ძია სემმა გააბრინა, რომელიც მიხანაში მართლად ენავე ჩემი შვილების — ქართველების ზიზღით, სიკუპვილით, მუდმივად მტრული განწყობით დამუხტვის ვერაგულ პოლიტიკას რუსეთისა და მისი ხალხების მიმართ. დღეს ჩემი სხეულის 20 პროცენტი ოკუპირებულია რომ არის, დიდწილად ჩემი გზააგნეული შვილების ბრალია, რომლებმაც აიპყრეს რუსეთი, ოკუპანტი გამხდარიყო.



3. გააუქმეთ ოკუპაციის მუზეუმი, დაიწყეთ დიალოგი რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისათვის;

4. დაუყოვნებლივ აღკვეთეთ ყოველგვარი სამხედრო წვრთნები აშშ-დასავლეთის მონაწილეობით; გამოაცხადეთ სამხედრო მოუმხრობლობა. ცხადია, ჩამოთვლილ ღონისძიებათა აღმასრულებელი დღევანდელი ხელისუფალნი და ოპოზიციის დიდი ნაწილი ვერ იქნებიან, რადგან ძია სემს ეტრფიან.

მაგრამ მე ჩემი ობიექტურად, მართებულად მოაზროვნე შვილების იმედი მაქვს. ისინი ჩემი დიდი მოსიყვარულენი არიან, ჩემს სახელს ფიცხლობენ. ამ დღეებში ძალიან გამახარებს „პატრიოტთა ალიანსში“ გაერთიანებულმა ჩემმა ღირსებულმა შვილებმა, რადგან ჩემს ტანჯვასა და ვედრებას ყური ათხოვენ; იმედი მაქვს, ისინი, სხვა ჯანსაღად მოაზროვნე ძალებთან ერთად, ისე მოლონიერდებიან, რომ ჩემს სხეულზე ხელისუფალნი გახდებიან და ჩემს გადარჩენას, ჩემი სხეულის გამთლიანებას ნარმატებით შეძლებენ.

გზააგნეულ და ძია სემის მოთავყვანე ჩემს შვილებს კი ვეტყვი: რატომ არ აღასრულეთ ჩვენი დიდი სულიერი მოძღვრის, ილია მეორის, მიერ ჯერ კიდევ 2001 წლის სააღდგომო ეპისტოლეში ნათქვამი, — საქართველოსთვის ყველაზე უკეთესი გზა ნეიტრალიტეტიაო, დასანანია!

ჩემს გზააგნეულ შვილებს დაბეჯითებით ვურჩევ — იკითხეთ სიმართლით გაუღენთილი გაზეთის — „საქართველო და მსოფლიოს“ დიდებულ პუბლიკაციები, რომლებიც ჩემს სხეულზე მოსიყვარულე, ჩემს გადარჩენაზე მუდმივად მოფიქრალ, ღრმად მოაზროვნე ჟურნალისტ-პუბლიცისტებს ეკუთვნის; ღრმად მწამს, რომ ისინი თქვენ ამერიკული პოლიტიკური კორონავირუსისაგან განკურნავთ; დამიჯერეთ, შვილებო, ინამეთ ჩემი თხოვნა, ჩემი ვედრება და ყველა გავიმარჯვებთ“.

ასე დაასრულა თავისი სათქმელი მრავალტანჯულმა ქართულმა მინამ. მე, პოლიტოლოგს, ისლა დამრჩენია, გირჩიოთ: **ყურად იღეთ ქართული მიწის ქანთი, მისი რჩევაები და ყველა ერთად გავიმარჯვებთ!**

ვივი ბურაუიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან



ახალი საქართველო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ფულის საჭიროებას, რასაკვირველია, სულ სხვა გზა უნდა მიეცა ჩვენებურ მიწათმოქმედებისათვის, რომელიც დღეს ერთადერთი სახსარია, ერთადერთი წყაროა, ერთადერთი სააკონომიო მოქმედებაა ცხოვრების გასაძლელად ჩვენში. შეიძლება ვეცდებით გამოვარკვიოთ, ჩვენმა მიწათმოქმედებამ შეუფერა თავისი გზა ამ საჭიროებას, თუ არა“.

რუბრიკას უძღვება დარეზან ნადრიაძე

დიდ მამულიშვილთა ნააზრევი, მათ მიერ მომავლის პერსპექტიული ხედვა ფასდაუდებელია ქვეყნისთვის, თუ ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ და ყურად ვიღებთ. ილიას გზით მივდივართ, ხშირად გვსმენია, თუმცა ჯერჯერობით ერთი დღეც არ გვიცხოვრია ილიას მაგალითით. კი ვამბობთ, ხმამაღლა ვიქაძენით, ვიმუქრებით კიდევ, მაგრამ მაინც ძველებურად ვაგრძელებთ ცხოვრებას. ილიამ კი — „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გამოგვიყვანს მონობის უკუნეთიდან...

ილია ჭავჭავაძის მიერ დასახული გზა ეროვნული ცხოვრების აღორძინების პროგრამაა, „უკეთესი ქვეყნის“ შენობა. ეს კი მხოლოდ ერის ერთიანობითა და თანხმობითა შესაძლებელია, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ, რადგან დღეს ძალაუფლებისთვის ბრძოლა უფრო მიზიდველი აღმოჩნდა, ვიდრე მამულის კეთილდღეობისთვის ზრუნვა. ჰოდა, სანამ ჩვენი პოზიცია და ოპოზიცია ურთიერთობებს „დააღაგებენ“, ჩვენ ისევე ერის მამას მიუვადოთ ყური და ამჯერად ქართულ სოფელზე შევაჩეროთ ყურადღება.

სოფლის მეურნეობის დარგების სპეციფიკურ თავისებურებათა ცოდნა საშუალებას აძლევდა დიდ მწერალს ნათლად დაესაბუთებინა მევენახეობისა და მეღვინეობის, მეხილეობის, მებოსტნეობა-მებაღეობის, მებაღე-შეშობის, მეფუტკრეობის, ჩაის, სუბტროპიკული და სხვა ძვირფასი კულტურების განვითარების აუცილებლობა საქართველოს ეკონომიკის აღმავლობისათვის. ილიამ იცოდა, რომ თითოეული ეს დარგი წარმოადგენს არა მხოლოდ ქვეყნისა და გლეხკაცის გაძლიერების წყაროს, არამედ ქართველი ერის სამეურნეო ცხოვრების წესისა და კულტურის ორგანულად განუყოფელ ნაწილსაც.

რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს, არც თუ იშვიათად, საუბარი გვინებს არა თუ ტრადიციული დარგების შემდგომ განვითარებასა და რაციონალურ შეთანაწყობაზე, არამედ რიგი მათგანის (მებაღეობა, მეფუტკრეობა, მეცხვარეობა და სხვ.) შენარჩუნებასა და გადარჩენაზე.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის საუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნებას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გათვალისწინებით სახავდა მისი განვითარების გზებსა და საშუალებებს, იცავდა მინათმოქმედით ინტერესებს ყველა ჯურის უცხოელი ვაისპეციალისტებისაგან, იმ ხანად მრავლად რომ შემოდოდნენ და მკვიდრდებოდნენ საქართველოში, ისევე, როგორც დღეს.

„გვეყო, ბატონებო, ჩვენის ანგელოსი და მომავლის ფედის სხვაზედ მიგდება, ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და ნადილის პატრონი ჩვენზე უნდა ვიყვნეთ“. მიაჩნდა, რომ „ეკონომიკური გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლია-რა, ზომიერი ნელ-ბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მოცემი მინა მომასწავებელი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამო-

«ფეხზე დადებული გლეხი... გაშინ, როდესაც საბჭოთა ტაშკა»



«გვეყო, ბატონებო, ჩვენის ანგელოსი და მომავლის ფედის სხვაზედ მიგდება, ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და ნადილის პატრონი ჩვენზე უნდა ვიყვნეთ»

ლა, თუ ნამდვილად გული გეტკივა ხალხისათვის... ერთ უმთავრესი სახსარი ცოდნის შექმნისა — სამეურნეო სკოლაა. ამ-გვარის სკოლების გამართვა ჩვენში აუცილებელი საჭიროებაა“. ამიტომ ილია ჭავჭავაძის მცდელობა არ დაუკლია საქართველოში მინათმოქმედებისათვის. სწამდა, რომ: „ქვეყნის ეკონომიური სიმტკიცე და ძლიერება გლეხკაცობის მინათმოქმედებითა და მამულის განვითარებითა შექმნის გარდაუვალი აუცილებლობა, ზიარებოდა მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს მინათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, განმტკიცებოდა რწმენა, რომ მხოლოდ იგია ჭეშმარიტი პატრონი და გამგებელი ღვთისმშობლის ნილხედრი მინისა.

ილია ბრძანებდა: „განათლება, სწავლა, ცოდნა — აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას... მასწავლებელი, ექიმი, ტექნიკერი, — ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეიარაღებულია, ყველა საჭიროა ახ-

ჩვენი სარჩიელი სოფლის მეურნეობის კვირვას დარბეზი

ბ-ნი მინისტრი სახელმწიფო ქონებათა და მინათმოქმედებისა მოდის და ჩვენს საზოგადოებაში დიდი ლაპარაკია, რა ვუთხრათ და ვთხოვოთ. ამის მიუხედავად მთქმაში მრავალი სხვადასხვანაირი სათქმელი აღმოჩნდა და უფრო მრავალი სხვადასხვაგვარი სათხოვარი. ჩვენა ლაპარაკია ჩვენში აქაურ მინათმოქმედების აკადემიის ფაქტობრივად დაფუძნების, იგი გარემოება, რომელიც, ჩვენი ფაქტობრივად დაფუძნების და უნდა აღვნიშნავთ, რომელიც დაფუძნებულია და არა მხოლოდ დაფუძნებულია, არამედ დაფუძნებულია და არა მხოლოდ დაფუძნებულია, არამედ დაფუძნებულია და არა მხოლოდ დაფუძნებულია...

ვერ გაიტარებდა, რადგანაც ალბ-მიცემობა თხოვლობს მშვიდობიანს, იყოს და მსწრაფლ გზასა საქონლის გადასატან-გადმოსატანად. ამ გარემოების ძალმომრეობით ჩვენი მართლა-და მდიდრად შემკული ქვეყანა იძულებულ იყო, რაც საცხოვრებლად ადამიანისათვის საჭიროა, შინ თვითონვე ეკეთებინა და მინისაგან ამოეღო, თუ არა და, მშვიერი და მშვიდი დარჩებოდა. მაშინ არა თუ საჭირო იყო ჩვენი საკუთარი პური გვექონოდა და სხვა საჭირო მარცვლეულსა, არამედ სამოსელიც-კი.

გავიხსენოთ მარტო ის ამბავი, რომ ამ ოც თუ ოცდაათ წლის წინათ ერთ სოფელს ისე არ გაივლიდით, რომ ქსელი და მქო ფეიქრისა არ დაგენახათ, მატყლის საჩეჩელი საშაღე ძაფისათვის არა ყოფილიყო გამართული თითქმის თვითულის მცხოვრების დერეფანში, ხშირად არ მეგვედროდათ სამღებროები ნაქსოვის, თუ ნაკეთების საღებავად, და სხვა ამისთანა წერილმანი საოჯახო, საშინაო მრეწველობა იმაზე მიქცეული, რომ ქვეყანამ შინ იქონილი ყველაფერი. ალბ-მიცემობის მოწყობით ეს წერილმანი საოჯახო და საშინაო მრეწველობა გაუქმდა, რადგანაც დამშვიდებამ ჩვენს ქვეყნისა, კარგმა გზებმა სამეზობლოდ მისვლა-მოსვლისამ, ალბ-მიცემობის სახსარი მისცა უფრო იყოს, უფრო კარგის საქონლის მოტანისა, და შინაურმა წერილმანამ მრეწველობამ მოტანის საქონელს ვერც ფასში და ვერც სიკეთეში ცილობა ვერ გაუწია. დაანება ჩვენმა ქვეყანამ ამ წერილმანს მრეწველობას თავი და ირჩია ნაწარმოებთა ყიდვა სხვისაგან, იმიტომ რომ საეკონომიო სფეროში წინამძღვრობს მარტო სიიფე და სიკეთე სასიფიდე საქონლისა და სხვა არა-რა. ამ გარემოებამ და ამასთან იმანაც, რომ სახელმწიფო ხარჯს წინათ მინის მოსავლით იხდიდა ხალხი, და ეს ეხლა ფულად სახდელი გაუხდა, ის მოიტანა, რომ ფულის მოგება მეტად გაძლიერებულ საჭიროებამ შექმნა ჯერ სხენებულ მრეწველობათა ნაწარმოების სასყიდლად და მერე სახელმწიფო ხარჯის სახდელად. ფულის საჭიროებას, რასაკვირველია, სულ სხვა გზა უნდა მიეცა ჩვენებურ მინათმოქმედებისათვის, რომელიც დღეს ერთადერთი სახსარია, ერთადერთი წყაროა, ერთადერთი სააკონომიო მოქმედებაა ცხოვრების გასაძლელად ჩვენში. შემდეგ ვეცდებით გამოვარკვიოთ, ჩვენმა მინათმოქმედებამ შეუფერა თავისი გზა ამ საჭიროებას, თუ არა.

II ტფილისი, 21 სექტემბერი, 1894 წ. ჩვენ წინა წერილში მოვიხსენიეთ, რომ ფულის მოგების საჭიროება გავგიძლიერდა ცალკე იმ მიზე-



„ვიღრე მთავრობა საქართველოს და ერთობ ამიერკავკასიას არ შეხედავს იმ თვალთ, რომ ამ მინათომოქმედებას სხვა გზა და მიმართულება უნდა მიეცეს მისი ჰავისა და მიწის შესაფერი, ვიღრე თავის მცაღინეობას იმაზე არ მიამცევს, რომ ახალი საჭირნახულო საბანი გაუჩინოს აქაურ მინათომოქმედებას, იმ დრომდე ყველაფერი ფხვზე დადებული მაღამო იძნება, მაშინ როდესაც სატკივარი თავზეა“.

ზით, რომ, რაც უნინ შინ-ვე ჩვენში კეთდებოდა, ის ეხლა სასყიდელი გაგვიხდა, და ცალკე მით, რომ სახელმწიფო ხარჯი ფულით მოსაშორებელი შეგვექნა. რადგანაც ჩვენის შეძლების და ეკონომიურ ღონისძიების ერთადერთი სახსარი მინათომოქმედებაა, ამიტომაც იგი უნდა მიქცეულიყო იმისთანა საგნებზე, რომელთაც აღებ-მიცემობის ბაზარში, შინა თუ გარეთ, კარგი გასავალი ჰქონებოდა. ეს მით უფრო შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო ჩვენის ქვეყნისათვის, რომ აქაური მაღლიანი ჰავა და ნოყიერი მიწა ბევრ იმისთანა ჭირნახულს ხელს უწყობს, რომელსაც დღევანდელ ბაზარში დიდი მუშტარი ჰყავს და დიდი ფასი აქვს და რომელიც ამ ორის გარემოების შემწობით უფრო მეტად ახერხებს მოჭირნახულეს, ვიდრე იგი ჭირნახული, რომელიც დღეს მოგვყავს და გავაქვს ბაზარში. სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხეირობს, საცა ყოველგვარი ხეილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარ საზეთე, სამღებრო და სააფთიაქო მცენარეებისა, იქ მინისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულსათვის, როგორც, მაგალითებურ, პური, ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდომაა, პურს, თუ უნინ, როცა კარჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ეხლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარიშია. დღეს, როცა საქვეყნოდ კარი გაგვეღო, როცა ამისთანა სწრაფი გზებია, როგორც რკინისგზა და ზღვისა, როცა შესაძლოა თითქმის ორის კვირის განმავლობაში თუნდა ამერიკიდან მოვიტანოთ ჩვენი სამყოფო პური, — რუსეთს აღარ ვიტყვი, —

«როსა ლაპარაკი ჩვენში აქაურ მინათომოქმედების აკარგინებოდა და უნებყოზე, იგი ბარეობა, როელიც, ჩვენის ფიქრით, თავი და თავი მიზეზია ჩვენის მინათომოქმედების უნებყოებისა და უკან დარჩენისა, არავისგან არ არის სოლზე სხეში მიღებული და ამიტომაც გაჭირვების და სატკივარის ნაშალს იქ ვაღებთ, სახა სატკივარის ბოლო და არა სთავა, სახა შეღებია და არა მიზეზი»

უფრო იეფად და უფრო კარგიც, ნუთუ სახეიროა ჩვენი მარჯვენა, მშვენიერი ჰავა და მიწა პურზე მოვაცდინოთ, მაშინ როდესაც ჩვენის ქვეყნის ბუნება ნებას გვაძლევს, უფრო ძვირფასი ჭირნახული მოვიყვანოთ იმავე შრომით, გარჯით, იმავე ჰავითა და მიწით. ჩვენ რომ ამ გზას დავდგომოდით, ან დღეის-იქით დავადგეთ, ჩვენ საქვეყნო თუ სამეზობლო ბაზარში ჩვენს ძვირფასს ჭირნახულს გავიტანდით და იქიდან იმ საჭირო ჭირნახულს შემოვიტანდით, რომელიც ამ გზით უფრო იეფად დაგვიჯდებოდა, ვიდრე ეხლა გავაქვდა, როცა ჩვენვე მოგვყავს შინ. მაგალითებურ, წელს ოდესაში პური ფუთი თითქმის 26 კაპიკად იყიდებოდა, ნუთუ ოდესიდან პურის მოტანა ამ ფასად უფრო სახეირო არ იქნებოდა ჩვენის ქვეყნისათვის, რომელსაც, თუ რიგანად ვიანგარიშებთ, შინაური პური ერთი-ორად ამაზე მეტი უჯდება, რაც გინდ ნაკლები ვიანგარიშოთ: თუმცა იმეფით ამბავია ჩვენში, რომ ჩვენი შინაური პური ფუთი სამ-ოთხ აბაზე ნაკლები იყოს, მაგრამ მაინც მოჭირნახულეს ბევრს არას აძლევს გამოსარჩენსა და ამ გზით მის ჯიბეს ბევრი არა ემატება-რა.



«მინათომოქმედება, გაეულს ანა თუ ისა კითაბა, ხელს არ აქლავს მოჭირნახულს იმოდენად, რამოდენადს საჭიროა ღღას და შესაქლაველი ჩვენის ქვეყნის ჰავისა და მიწის მიხედვით»

სულ სხვა იქნებოდა, რომ ჩვენ რუსეთში შეგვეტანა იგი ჭირნახული, რომელიც, რუსეთის ჰავასა და მიწის მიხედვით, იქ არ მოდის და სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ, და რუსეთში იქიდან გვეზიდნა; ამ შემთხვევაში გამოჩინდა დიდი იქნებოდა: ჯერ ერთი ესა, რომ ჩვენი სასყიდელი უფრო იეფად დაგვიჯდებოდა და მეტე ჩვენი გასასყიდი უფრო მეტს ხეირს მოგვცემდა, უფრო მეტს ამოიღებდა. ანუ, უკეთ ვსთქ-

დადგეს, ჩვენმა მინათომოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არა აქვს, და იქიდან ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერც-კი გაუსაღებია, — სახელმწიფო ინტერესის თვალთაც კი მეტად სახეიროა თვით რუსეთისათვისაც, რომელიც თავის ნამეტანის პურისათვის ბევრგან სხვგან ეძებს ბაზარსა მაშინ როდესაც ერთი ამისთანა ბაზარი, სხვათა შორის, საქართველოც შეიქმნება, და თვით საქართველოც მატებაში შევა, რადგანაც ამ გზით აქაურ მკვიდრთა ქონება გაუძლიერდება.

ვიღრე მთავრობა საქართველოს და ერთობ ამიერკავკასიას არ შეხედავს იმ თვალთ, რომ ამ მინათომოქმედებას სხვა გზა და მიმართულება უნდა მიეცეს მისი ჰავისა და მიწის შესაფერი, ვიღრე თავის მცაღინეობას იმაზე არ მიამცევს, რომ ახალი საჭირნახულო საბანი გაუჩინოს აქაურ მინათომოქმედებას, იმ დრომდე ყველაფერი ფხვზე დადებული მაღამო იძნება, მაშინ როდესაც სატკივარი თავზეა. ბ-ნი მინისტრი მინათომოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მობრძანდება აქ ქვეყნის ვითარების შესატყობად და მეტად სანატრელია, რომ ჩვენზე უფრო მცოდნე კაცთა ეს განსხვავებული გარემოება აქაურ ქვეყნისა უფრო მეტის საბუთით წარუდგინოს და ამის საშველის სარჩიელი გამოურკვიოს. აქაური სამეურნეო საზოგადოება, როგორცა სჩანს მის განაჩენიდან, ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ საშველის სარჩიელზე დამდგარა. სჩანს, ამ პატივცემულს საზოგადოებასაც იგი საჭიროება დაუნახავს, რაც ჩვენ აქ მოკლედ მოვიხსენიეთ.

ტფილისი, 18 სექტემბერი, 1894 წ.



«ჩვენის შექლავის და აკონოიურ ღონისძიების ერთადერთი სახსარი მინათომოქმედებაა, ამიტომაც იგი უნდა მიქცეულიყო იმისთანა საგნებზე, რომელთაც აღებ-მიცემობის ბაზარში, შინა თუ გარეთ, კარგი გასავალი ჰქონებოდა. ეს მით უფრო შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო ჩვენის ქვეყნისათვის, რომ აქაური მაღლიანი ჰავა და ნოყიერი მიწა ბევრ იმისთანა ჭირნახულს ხელს უწყობს, რომელსაც დღევანდელ ბაზარში დიდი მუშტარი ჰყავს და დიდი ფასი აქვს და რომელიც ამ ორის გარემოების შემწობით უფრო მეტად ახერხებს მოჭირნახულეს, ვიდრე იგი ჭირნახული, რომელიც დღეს მოგვყავს და გავაქვს ბაზარში. სადაც ჩაი, სორგო, ალისარჩული, აბრეშუმი მოდის, საცა ბამბა ხეირობს, საცა ყოველგვარი ხეილია შესაძლებელი, საცა ყურძენი მოდის, ღვინო დგება, საცა შესაძლოა გაჩენა თითქმის ყოველგვარ საზეთე, სამღებრო და სააფთიაქო მცენარეებისა, იქ მინისა და ხელის მოცდენა იმისთანა ფასმოკლე ჭირნახულსათვის, როგორც, მაგალითებურ, პური, ჩვენის ფიქრით, დიდი შეცდომაა, პურს, თუ უნინ, როცა კარჩაკეტილები ვიყავით, თავისი საბუთი ჰქონდა, ეხლა მისი მოყვანა ჩვენთვის არავითარი ანგარიშია. დღეს, როცა საქვეყნოდ კარი გაგვეღო, როცა ამისთანა სწრაფი გზებია, როგორც რკინისგზა და ზღვისა, როცა შესაძლოა თითქმის ორის კვირის განმავლობაში თუნდა ამერიკიდან მოვიტანოთ ჩვენი სამყოფო პური, — რუსეთს აღარ ვიტყვი, —



ალვისილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსანი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაბობით, უზნეობითა და მახუზარობით. ცილისმნამებლნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხყოფილნი, ამპარტავანნი, მკვიხარნი, ბოროტბამზარახველნი, მშობლების ურჩნი.
(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)

ნეოლიბერალური უნებობა



კარლ ბრიულოვი — „პომპეის უკანასკნელი დღე“

ქალაქი პომპეი ღებრთვა სოფლისა და გომორის მსგავსი სოფლებსთვის სომ არ დასაჯა?

ძნელად მოიძებნება მეტ-ნაკლებად განათლებული ადამიანი, რომელსაც არ სმენია ძველი რომაული ქალაქის, პომპეის, ტრაგიკული იავარქმნის ამბავი. ქალაქი გაშენებული იყო ნეაპოლის ყურის სანაპიროზე, ნეაპოლიდან 22 კილომეტრის დაშორებით, ვულკან ვეზუვის კალთის ძირას. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველივე საუკუნეში იტალიის ეს მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი ვულკანის ამოფრქვევას შეეწირა — ერთი დღე-ღამის განმავლობაში უკაცრიელ უდაბნოდ იქცა. 15 საუკუნის განმავლობაში მალავდა იგი თავისი მოქალაქეების არატრადიციული ვენებების დამამტკიცებელ მატერიალურ „საბუთებს“. ამაზე ვისაუბრებთ დღეს.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში დაარსებული პომპეი კატასტროფამდე ფრიად აყვავებული და მზარდი ქალაქი იყო. ითვლებოდა მდიდარი რომაელების პოპულარულ კურორტად, სადაც დღესასწაულების დღეებში დასასვენებლად ჩადიოდნენ. ვარაუდობენ, რომ რომის იმპერატორ ნაროს აქაც ჰქონდა ვილა, ხოლო მისი მეორე ცოლი პომპეა საბინა აქაური მკვიდრი იყო. პომპეი ლამის მიბჯენილია ვეზუვის კალთას. ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგე-


ნაც არ ჰქონდა, როგორ ჯოჯოხეთსაც მეზობლობდა. ვეზუვის პოლო დიდი ამოფრქვევა ჩვენს ერამდე 1800 წელს მოხდა. მაშინ ბრინჯაოს ხანის რამდენიმე დასახლება განადგურდა. ვულკანმა ჩვენი წელთაღრიცხვის 79 წლის 24 აგვისტოს დილით გაიღვიძა — ღმერთ ვულკანისადმი მიძღვნილი რომაული დღესასწაულის მომდევნო დღეს. ამოფრქვევა თითქმის 24 საათს გრძელდებოდა, მაგრამ ფერფლი, ლავა და პემზა კი-

დეგ ორი დღის განმავლობაში მარხავდა ქალაქს 6-მეტრიანი სიღრმის უზარმაზარ სამარეში. პომპეის გარდა განადგურდა ახლომდებარე რამდენიმე ქალაქი და სოფელი. 79-ე წლამდე ძველ რომში სიტყვა „ვულკანი“ არ არსებობდა, კარგა ხნის შემდეგ მოიგონეს და დაამკვიდრეს. როგორც ზემოთ მიგანიშნეთ, იგი წარმოიქმნა რომაელთა ცეცხლის ღმერთის სახელიდან, რომელსაც ერქვა ვულკანი.

კატასტროფა გამოწველიყო ვითარება პლინიუს უმცროსმა, ძველმა რომაელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და პოეტმა, რომელიც ვეზუვის ამოფრქვევას შორი მანძილიდან უცქერდა. მის წერილებს, რომლებიც თვითმხილველთა მონათხრობის საფუძველზე შედგენილი, არქეოლოგებმა მხოლოდ XVI საუკუნეში მიაკვლიეს: 1599 წელს მდინარე სარნოდან მინისქვევა არხის გაყვანისას შემთხვევით აღმ-



ფრანკა პომპეის აბანოში



ოაჩინეს უცნობი ქალაქის გაღვინის ნაწილი. არქიტექტორმა დომენიკო ფონტანამ მიაკვლია ფრესკებს, ქანდაკებებსა და მთელ რიგ სხვა ნივთებს, რომლებიც ერთიკული და უხამსი გამოსახულებებით იყო დამუშავებული. რომლებიც მზის სინათლეზე არ გამოიტანა და კვლავ ჩაამარხვინა.

ქალაქი კიდევ 10 წელს იცოდა, სანამ 1748 წელს კვლავ არ განაგრძეს არქეოლოგიური გათხრები ესპანელი სამხედრო ინჟინრის, როსპე სოპანი დე ალკუბერის, ხელმძღვანელობით. ამჯერად აღმოაჩინეს არა მხოლოდ კარგად შენახული საყოფაცხოვრებო ნივთები (რაც უზრუნველყო მინის სიდრემში კონსერვაციის იდეალურმა პირობებმა), არამედ შენობები სრული მოცულობით. არქეოლოგებმა თაბაშირის გამოყენებით შეძლეს ამოფრქვევის მსხვერპლთა სხეულების სიკვდილისწინა პოზების რეკონსტრუქცია, მათ შორის ოჯახების, მეგობართა ჯგუფებისა და წყვილების, რომლებიც ერთმანეთს გადახვეულები გარდაიცვალნენ.

* ვეზუვი, რომლის ასაკი, სხვადასხვა შეფასებით, 17 ათასი წელიწადია, ევროპაში ერთადერთი მოქმედი ვულკანია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ არსებობის ისტორიაში იგი დაახლოებით 100-ჯერ ამოფრქვევას, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე თუ იყო 79 წლის ამოფრქვევაზე უფრო მასშტაბური. სითბური ენერგია, რომელიც ვეზუვიმ ამოფრქვევის დროს გამოჰყო, 100 000-ჯერ აღემატებოდა პიროსიმაზე ჩამოგდებული ბომბის ენერგიას.

* 3 მილიონი ადამიანი სახლობს ამჟამად ვეზუვის, მსოფლიოში ყველაზე საშიში ვულკანის, სიახლოვეს. მისი ბოლო ამოფრქვევა მოხდა 1944 წელს. * პომპეიმ სოლომისა და გომორას ბედი რომ გაიზიარა ჩადენილი ცოდვების გამო, მხოლოდ ვარაუდია, ლეგენდაა. ხოლო დღევანდელ ევროპაში ის ცოდვები რენესანსის სტადიაში რომ შედის, რეალობაა, დღევანდელი ცრულიბერაული ეპოქის დამახასიათებელი წესი და რიგი. ჩვენ ფეხი ავუწყვთ. მადლობა ღმერთს, რომ ვეზუვამდე შორია.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ უფლის სამსჯავროს მოსვლა სარწმუნოა. მოციქულ პეტრეს მეორე წერილი ნათქვამია: „ხოლო უფლის დღე ქურდით მოვა და მაშინ ზეცანი გრგვინით გადაივლიან, გაგვარებული სანყისები დაიშლებიან, დედამინა და მისი საქმენი, რაც მათეა, გადაიხუდება.“ (პეტ. 3,10).



„სამომავლო გზას ბაიკვალავენ ქვეყნები უნარიანი ხელისუფლებით სათავეში, რომლებიც შეძლებენ უზრუნველყოფონ სახელმწიფოს მდგრადობა და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება“.

ჩვენი გაზეთის მითითებულ ნომერში (იხ. „იაკობ კედმი: უკრაინასა და თურქეთს კარიკატურული პიროვნებები მართავენ“) ისრაელის აღიარებული ანალიტიკოსი იაკობ კედმი აღნიშნავდა, რომ „თურქეთის სულთანმა აინყვიტა და აკეთებს იმას, რაც სურს“.

ხოლო ქვეტექსტში დაკვირვებული მკითხველი აუცილებლად ამოიკითხავდა, რომ კედმის ეს საჯარო განცხადება ერთგვარი გაფრთხილება იყო იმ სახელმწიფოთა ლიდერების, რომლებიც ბოლომდე ვერ მიმხვდნენ, რას ნარმოადგენს (დღევანდელი) თურქეთი. ცხადია, რომ მათ შორის საქართველოც უნდა ვიგულისხმობო.

რდა და დაიშალა, მაგრამ მილიონობით ადამიანის გონებაში დაიღვრა და ღვივის, ვითარცა მიუწვდომელი ოცნება. პანთურქიზმის იდეა, როგორც ცნობილია, ისტორიულ ხსოვნაზეა აღმოცენებული, ისტორიის იმ მონაკვეთზე, როცა თურქეთი იმპერია იყო. ოტომანების პორტა სრულად განადგურდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ეს უაღრესად შემადრწუნებელი მოვლენა თურქებისთვის დიდ ტკივილად რჩება დღემდე.

«დიადი თურქანის» თეორია — იმპერიული გეგმების ინფორმაციული მხარდაჭერა

«საქართველო და მსოფლიოს» გე-40 ნომერი გამოქვეყნებული წერილის აუსილაგალი დაგება



ენას და დაეთანხმებით. სიმართლეა. ისეთივე, როგორც რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის იმპერიების ბრძოლა ცენტრალურ აზიაში თავიანთი სასიცოცხლო სივრცის გასაფართოებლად.

უნდა ვიყოთ დაინტერესებული. რადგან: „სამომავლო გზას გაიკვლავნენ ქვეყნები უნარიანი ხელისუფლებით სათავეში, რომლებიც შეძლებენ უზრუნველყოფონ სახელმწიფოს მდგრადობა და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება“.

თურქესტანის ხალხების ენისა და სისხლისმიერი ნათესაობის იდეა XIX საუკუნის შუა წლებში საჯაროდ გამოიტანა არმინი ვამბერნი — მეცნიერმა, მოგზაურმა და მოღვაწემ. ზოგიერთი წყარო მოიხსენიებს მას, როგორც უმალესი კლასის ავანტიურისტს: თურქეთის სულთნის ნდობით აღჭურვილი უნგრელი ებრაელი ჰერმან ვამბერგერი დიდი ბრიტანეთის დაზვერვის აგენტიც იყო.

აქამად უკრაინაში გააქტიურებული მიხეილი ვინ რხარის პროექტი, ავღანს რომ ტინიხოსს და საქართველოში ჩამოსვლით რომ გვეუქრება? რამოვ და მტკვარზე, ყოფილი ვირის ხიდის თავში მეჩეთი რომ იდგა, იმის მოპირდაპირე მხარეს, ლეღვისხევში, «ჭრელ აბანოში» მიიპატიჟებენ და თეთრი და შავი იქ გამოცნდება...»



მეგლი სიმბოლოდ გაიხადა რადიკალურმა თურქულმა მოძრაობამ „რუსი მგლები“. იგივე სიმბოლო ამშვენებდა ჩეჩენი სეპარატისტების დროშას და ამშვენებს დღესაც პანთურქიზმის დროშებსა და სხვა გამოსახულებებს. დიადი თურქეთი — ბალკანეთიდან ჩინეთის დიდ კედლამდე! ყაზახეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი — ყველას ერთ მუშტად კრავს თურქი მოსახლეობა, თურქული კულტურა და თურქული ენა. მათთან ახლოს დგას ჩეჩენი და დაღესტანი.

სტამბოლს ისტორიკოსები პანთურქიზმის დედაქალაქად მიიჩნევენ, იმ ცივილიზაციის, იმ იმპერიის სიმბოლოდ, რომელიც ასი წლის წინათ დანანევ-

თვითონაც არ დაუმაღავს. გაიხსენეთ მისი აღიარება — სააკაშვილი ჩემი პროექტიც იყო. რომელიც ჩაუვარდა. აქამად უკრაინაში გააქტიურებული მიხეილი ვინ ოხერის პროექტია, ამდენს რომ ტინ-

ნგიცობს და საქართველოში ჩამოსვლით რომ გვემუქრება? ჩამოვად მტკვარზე, ყოფილი ვირის ხიდის თავში მეჩეთი რომ იდგა, იმის მოპირდაპირე მხარეს, ლეღვისხევში, „ჭრელ აბანოში“ მიიპატიჟებენ და თეთრი და შავი იქ გამოცნდება... მთავარ თემას დაუბრუნდეთ. დიადი თურქანი — თურქულენოვანი ხალხების სამო — თავისი არსით გლობალური

თურქული სამყაროა, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს ჩინეთს ყინვასა და ატილას, თემურ ლენგსა (თამერლანს) და ათათურქს, — ნაიკითხავთ უცხოურ პერიოდიკაში კომპეტენტური ექსპერტების ამ ერთგვარ მეტაფორულ დასკ-

ამ პოლიტიკას ახორციელებს ერდოღანის პარტია „სამართლიანობა და განვითარება“ თურქების გაერთიანების ლოზუნგით. ამ კუთხითაც შევხედოთ დღევანდელ ჩვენ სამხრეთელ მეზობელს, საიდანაც ჩამოსულმა წვრილ-წვრილმა მოვაჭრეებმა ჯერ ბათუმში მოიკიდეს ფეხი, შემდეგ თბილისის დაეთი აღმაშენებლის პროსპექტი დაიპყრეს. ეს ექსპანსია კოვიდ-19-ის პანდემიამ ცოტა შეანელა, მაგრამ არ შეუჩერებია.

«დიადი თურქანის» ჩაალიზახიის სტრატეგიული მიგართულება (ერთ-ერთი) ჩვენს ქვეყანაზე გადის

ა.ს.




ყველაზე
ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სამაგისტროს მუშაობაში ჩარევის შედეგად დამნაშავეებმა გააჩერეს მატარებელი, განაიარაღეს დაცვა, 20 ჩანთით გაიტანეს 2,6 მლნ გირვანქა სტერლინგი (ამჟამად ეს თანხა 40 მლნ გირვანქა სტერლინგის, დაახლოებით 60 მლნ დოლარის, ეკვივალენტია) და ყალბომრიანი ორი „ლენდროვერით“ გაუჩინარდნენ.


5 ყველაზე გასმაურებული ქარხვა

2020 წლის 21 ოქტომბერს „საქართველოს ბანკში“ მომხდარმა სრულიად საქართველო ააფორიაქა. შეიარაღებული მძარცველი ბანკში შეიჭრა, მძევლები აიყვანა და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათასი დოლარი მოითხოვა. მძევლებს სამართალდამცველი ჩაენაცვლა და მძარცველის მოთხოვნილი თანხაც გადასცა. სამწუხაროდ, დამნაშავემ შეძლო, ხელიდან დასხლტომოდა სპეცრაზმელებს და მიმალულიყო. მას დღესაც ეძებენ. გათავაზობთ ბანკების გაძარცვის ყველაზე გასმაურებულ შემთხვევებს მსოფლიოში.



1. მატარებლის დიდი ქარხვა

1963 წლის 8 აგვისტოს 15 მძარცველისგან შემდგარი ჯგუფი ბუკინგემშირის ხიდზე (ინგლისი) თავს დაესხა გლაზგოდან ლონდონში მიმავალ საფოსტო მატარებელს. ძარცვის ორგანიზატორმა, ბრუს რეინდელდსმა, შეიტყო, რომ თვეში ერთხელ გლაზგოდან ლონდონში მატარებლით გადაჰქონდათ გაცვეთილი კუპონები, რათა ისინი მიმოქცევიდან ამოეღოთ. სწორედ ეს კუპონები იყო მძარცველთა თავდასხმის ობიექტი. სარკინიგზო ხაზის სემაფორის (სასიგნალო მოწყობილობა — ნ.კ.) მუშაობაში ჩარევის შედეგად დამნაშავეებმა გააჩერეს მატარებელი, განაიარაღეს დაცვა, 20 ჩანთით გაიტანეს 2,6 მლნ გირვანქა სტერლინგი (ამჟამად ეს თანხა 40 მლნ გირვანქა სტერლინგის, დაახლოებით 60 მლნ დოლარის, ეკვივალენტია) და ყალბომრიანი ორი „ლენდროვერით“ გაუჩინარდნენ. 15-დან 13 მძარცველი სკოტლენდ-აირმა დააპატიმრა, ორი კი — რიანი პიბსი და ჩარლზ უილსონი — ქვეყნიდან გაიქცნენ. უილსონი 4 წლის შემდეგ კანადაში დააპატიმრეს, ბიგსი კი ბრაზილიაში დაიშალა, მაგრამ 2001 წელს სამშობლოში დაბრუნდა, რათა, მისი თქმით, „როგორც ნამდვილ ინგლისელს, პაპში ერთი კათხა ლუდი დაეღია“, ამის შემდეგ კი სამართალდამცველებს ჩაბარდა.



2. ბანკ Societe Generale-ს ქარხვა ნიშაუი

1976 წლის 18 ივლისს ნიცის (საფრანგეთი) უდიდესი ბანკის, Societe Generale-ს, საცავის ქვეშ ბოროტმოქმედებმა გვირაბი გათხარეს და 50 მლნ ფრანკი (დაახლოებით 30 მლნ ევრო) გაიტაცეს. ბოროტმოქმედთა სავიზიტო ბარათი იყო წარწერა Sans armes, ni haine, ni violence (უიარაღოდ, სიძულვილის გარეშე, სისასტიკის გარეშე), რომელიც საცავის კედელზე დატოვეს. მოგვიანებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს ძარცვის ორგანიზატორი იყო ფოტოგრაფი ალბერ სპაგიარი. ის პოლიციამ დააპატიმრა, მაგრამ სასამართლოდან გაიქცა — ფანჯრიდან ისკუპა, ავტომობილის სახურავზე დახტა, თანამზრახველების მიერ მიყვანილ მოტოციკლზე დაჯდა და გაუჩინარდა. პოლიციამ მის კვალს ვეღარ მიაგნო. 2011 წლის იანვარში ფრანგმა პოლიციელებმა დააკავეს ადამიანი, რომელმაც, სავარაუდოდ, ჩაიდინა თავზედური ძარცვა ნიცაში, მაგრამ დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ციხეში ვერ ჩასვეს.



3. ანტვერპის სახაის ქარხვა ანტვერპენში

2003 წლის 17 თებერვალს ბელგიის ქალაქ ანტვერპენში მოხდა ალმასების დიდი საცავის ძარცვა. ბოროტმოქმედებმა მინსქეშმა შესასვლელიდან შეაღწიეს საცავში, სადაც ინახებოდა ალმასები და კერძო მფლობელების სხვა ძვირფასეულობა. მათ ისე გახსნეს 123 სეიფი, რომ არც დაცვის სისტემა დაუზიანებიათ და არც ვიდუოკამერები. მოგვიანებით პოლიციამ დაადგინა მძარცველთა ვინაობა და ისიც, როგორ დააცარიელეს საცავი. გაირკვა, რომ ბოროტმოქმედები 2 წლის განმავლობაში გეგმავდნენ საცავის ძარცვას. შეისწავლეს უსაფრთხოების სისტემა, დაამზადეს გასაღებების ასლები, შეცვალეს ვიდუოჩანაწერები. ძარცვის ორგანიზატორს 10 წლით აღუკვეთეს თავისუფლება, ჯგუფის წევრებს — 5-5 წლით, თუმცა მათ მაინც არ გაამხილეს, სად გადამალეს ნაძარცვი, რომლის ღირებულებაც რამდენიმე ათეული მილიონია.



4. ფასიანი ქალაქის სახაის ქარხვა სტოკოლმში

2009 წლის 23 სექტემბერს შვედეთის დედაქალაქ სტოკოლმში 20 წუთში გატეხეს ფირმა G4S-ის ფასიანი ქალაქების საცავი და დაახლოებით 6 მლრდ დოლარი გაიტაცეს. ბოროტმოქმედებმა შენობის სახურავზე დასვეს ვერტმფრენი, შემდეგ ლომებით გატეხეს რამდენიმე ფანჯარა, შენობის შიგნით შეაღწიეს და საცავის შესასვლელი ააფეთქეს. პოლიციამ შენობასთან მისვლა კარგა ხანს ვერ მოახერხა, რადგან ირგვლივ ფოლადის მავთულხლართები იყო გაბმული, ხოლო შენობის სახურავზე, პოლიციის ვერტმფრენი რომ არ დაეჯდარიყო, დადეს ვითომ ასაფეთქებელი მოწყობილობა წარწერით „ბომბი“, რომელიც მულიაჟი აღმოჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ ამ ძარცვის მონაწილე რამდენიმე პირი პოლიციამ დააპატიმრა.



5. მუზეუმის ქარხვა ზოსტონში

1990 წლის 18 მარტს ბოსტონში (აშშ) მუზეუმ იზაბელა სტიუარტ გარდნერის კარზე პოლიციის ფორმირება ორმა მამაკაცმა დააკაკუნა და მუზეუმის ერთ მცველს განუცხადა, რომ მათ ხელთ არსებული ინფორმაციით შენობაში მძარცველია. ცრუ-პოლიციელებმა მუზეუმის მცველი და მისი მენეჯერი განაიარაღეს, სარდაფში ჩაიყვანეს და ბორკილებით წყლის მილს მიამკვსეს. ამის შემდეგ ბოროტმოქმედებმა დაუბრკოლებლად გაიტანეს მუზეუმიდან 13 ნახატი, მათ შორის: **იან ვერმეერის, რამბრანდტის, ედგარ დეგასა და ელსაარდ მანეს** ტილოები. 30 ნელინადა, ამ საქმეს იძიებს მუზეუმის დაცვა გამოძიების ფედერალური ბიუროს ბოსტონის ფილიალთან ერთად, მაგრამ უშედეგოდ. დღეს მუზეუმის კედლებზე დატოვებულია ჩარჩოები, რომლებშიც ნახატები იყო ჩასმული.

მოამზადა ნიკა კორინთიელა



ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება 11 ქვეყნის (უფას 12 ასოციაციის) 12 ქალაქის 12 სტადიონზე. უფამ კონტინენტის ჩემპიონატის მასპინძლებად შემდეგი ქვეყნები დაასახელა: აზერბაიჯანი, ინგლისი, უნგრეთი, გერმანია, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ნიდერლანდები, რუსეთი, რუმინეთი და შოტლანდია.



ევროპის ჩემპიონატი — 2020: სად გაიგარტება, როდის და როგორი ქვეყნების მონაწილეობით

სრულიად საქართველო მოუთმენლად ელოდა ევროპის 2020 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩს, რომელშიც საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩრდილოეთ მაკედონიის ეროვნულ ნაკრებს უპირისპირდებოდა. ამ მატჩში გამარჯვებული ევროპის ჩემპიონატის საგზურს დაეუფლებოდა — ეს პირველად მოხდებოდა როგორც დამოუკიდებელი საქართველოს, ასევე ჩრდილოეთ მაკედონიის ისტორიაში.

მატჩის წინ, რომელიც 12 ნოემბერს „დინამო არენაზე“ გაიმართა, საქართველოს ნაკრებს წამყვანი ფეხბურთელები გამოაკლდნენ: კორონავირუსით დაინფიცირდნენ **სმინა კვარაცხელია** და **ლევან შენგელია**, ხოლო **გიორგი ჩაკვატაძე** და **ოთარ კიტციანი** შეხვედრა ტრავმის გამო გამოტოვეს. ფეხბურთელები აკლდა ჩრდილოეთ მაკედონიის ნაკრებსაც.

მატჩის პირველ ნახევარში ჩვენმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს და უპირატესობაც ჰქონდათ, მაგრამ მეორე ტაიმში მაკედონიელებმა სისწრაფეს მოუმატეს, პრესინგი გააძლიერეს და კაპიტანმა, 37 წლის **გორან პანდევმა**, 56-ე წუთზე ბურთი გაგვიტანა. ამ გოლით პანდევმა თავის გუნდს გამარჯვება მოაპოვებინა. საქართველოს ნაკრებს კი, რომელსაც ერთი ნაბიჯი აკლდა პრესტიჟული საფეხბურთო ტურნირის ფინალურ სტადიამდე, ოცნება დაუმსხვრია და ქართველებს დღე, რომელ-

იც საზეიმო უნდა ყოფილიყო, კომარად გვიქცია.

ახლა თავი იმით უნდა ვინუგემოთ, რომ საქართველოს ნაკრები პერსპექტიული გუნდია და სამომავლოდ უთუოდ მიაღწევს წარმატებებს,

ისიც აღსანიშნავია, რომ **ევროპის პირველი ჩემპიონის (1960 წ.) საბჭოთა ნაკრების ღირსებას სამი ძარბოვლი ფეხბურთელი იცავდა: გივი ჩოხელი, სლავა მებრეპელი და მიხეილ მესხი, მართალია კი — ზაურ კალოევი სათადარიგოთა შორის იყო.**

12 ნოემბერს გამოვლინდა 2021 წლის გასამართი ევრო-2020-ის ფინალური ტურნირის ბოლო ოთხი მონაწილე: სხვა 20 ეროვნულ ნაკრებთან ერთად ფინალურ ეტაპზე თანდის უფლება მოიპოვეს: ჩრდილოეთ მაკედონიამ, უნგრეთმა, სლოვაკეთმა და შოტლანდიამ.

ევროპის 2020 წლის ჩემპიონატში, რომელიც 2021 წლის 11 ივნისიდან 11 ივლისამდე

გაიმართება, მონაწილეობს 24 გუნდი, რომლებიც 6 ჯგუფში (A, B, C, D, E, F) არიან განაწილებულნი.

ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება 11 ქვეყნის (უფას 12 ასოციაციის) 12 ქალაქის 12 სტადიონზე. ეს გადაწყვეტილება მიიღეს იმიტომ, რომ 2020 წელს ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატს 60 წელი შეუსრულდა. მოგვიანებით კი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო უფამ ტურნირი 2021 წლისთვის გადაიტანა.

უფამ კონტინენტის ჩემპიონატის მასპინძლებად შემდეგი ქვეყნები დაასახელა: **აზერბაიჯანი, ინგლისი, უნგრეთი, გერმანია, დანია, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ნიდერლანდები, რუსეთი, რუმინეთი და შოტლანდია.**

მატჩები გაიმართება შემდეგ სტადიონებზე: **„უიგლი“** (90 ათასი), ლონდონი; **„ალიანც არენა“** (75 ათასი), მიუნხენი; **ოლიმპიური სტადიონი** (70 ათასი), ბაქო; **ოლიმპიური სტადიონი** (72690), რომი; **„ბაზ-პრომ არენა“** (68 ათასი), სანქტ-პეტერბურგი; **„პუშკინ არენა“** (67,215) ბუდაპეშტი; **„არენა ნაციონალა“** (55600) ბუქარესტი; **იოჰან კრუიფის სასტადიონი** (54990) ამსტერდამი; **„სან-მამესი“** (53322) ბილბაო; **„ჰემდეი პარკი“** (52 ათასი), გლაზგო; **„ავივა სტადიონი“** (51700) დუბლინი; **„არკან სტადიონი“** (38065) კოპენჰაგენი.

ტურნირის გახსნის მატჩი იტალიასა და თურქეთს შორის გაიმართება ოლიმპიურ სტადიონზე რომში; ფინალური მატჩი კი — „უემბლიზე“ ლონდონში.

ევროპის ჩემპიონატი იცვან:

- * გერმანია — 3;
- * ესპანეთი — 3;
- * საფრანგეთი — 2;
- * სსრკ, იტალია, პორტუგალია, ნიდერლანდები, ჩეხოსლოვაკია, დანია, საბერძნეთი — 1.

ევრო — 2020 ჯგუფების შეადგენლობა

A	თურქეთი	დანია
	იტალია	უნეთი
	უნა	პოლონია
	რუმინეთი	რუსეთი
B	ნიდერლანდები	ინგლისი
	უკრაინა	სერბეთი
	ავსტრია	შოტლანდია
	ჩ. რეპუბლიკა	ჩეხეთი
C	ესპანეთი	უნგრეთი
	რუმინეთი	კრეტა
	სლოვაკეთი	სერბეთი
	სლოვაკეთი	გერმანია



ევროპის პირველი ჩემპიონატში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის ნაკრები



ქალაქები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს

ფაქტობრივი

- ექსპერტები ევროპის ჩემპიონატის ფავორიტებად ასახელებენ 6 ნაკრებს:
- * პორტუგალია — კოეფიციენტი 4,96;
 - * საფრანგეთი — 5,05
 - * ბელგია — 6,1;
 - * ნიდერლანდები — 7,8;
 - * გერმანია — 8,9;
 - * ესპანეთი — 9,0.

ცნობისთვის:

60 წლის წინათ, 1960 წლის 6-10 ივნისს, საფრანგეთში გაიმართა ევროპის პირველი ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, რომელშიც მონაწილეობდა 4 ქვეყნის ეროვნული გუნდები — საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის. ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა საბჭოთა ნაკრებმა, რომლის ღირსებასაც იცავდნენ:

- მეკარები:** ლევ იაშინი და ვლადიმერ მასლიჩევი;
- მცველები:** ვლადიმერ კესარევი, გივი ჩოხელი, ანატოლი მასლიანკინი, ანატოლი კრეტიკოვი;
- ნახევარმცველები:** იური ვოინოვი, იგორ ნეტო, ვიქტორ ცარიოვი;
- თავდასხმელები:** სლავა მებრეპელი, ვალენტინ ივანოვი, ვიქტორ პონედელნიკი, მიხეილ მესხი, ვალენტინ ბუბუკინი, იური კოვალიოვი, გერმან აპუსტინი, ზაურ კალოევი.



მიხეილ მესხი



გივი ჩოხელი



სლავა მებრეპელი

გარბარბა სიომიანი: სად არის ფაშინიანის სოკოსი, სახელმწიფო დაპარტამენტი, პენტაგონი, გააკონი?



„მას შემდეგ, რაც სომხეთის პრეზიდენტი ილიჩ ხაჩატურიანის ბანაკში უშედეგოდ ცდილობდა აშშ-ისგან დახმარების მიღებას, სომხებს უფლება არ აქვთ, გააკრიტიკონ რუსეთი მთლიანად. სომხეთში საგარეო ურთიერთობების მართვა უნდა ხდებოდეს სომხეთის სახელმწიფო პოლიტიკის მიხედვით.“

ვეს ხელისუფლების სათავეში ერის მოლაპარაკებები, რომელმაც ისინი სომხეთს ხალხის ერთადერთ მხსნელ ქვეყანასთან დააპირისპირა და ყველაფერი გააკეთა ვითარების ასე განვითარებისთვის. „სად არის მისი სოკოსი, სახელმწიფო დეპარტამენტი, პენტაგონი, მაკრონი და კიდევ სხვები? ისინი რუკაზეც ვერ იპოვიან სომხეთს, ერევანსაც ვერ იპოვიან, არაფერს ვერ იპოვიან. თითოეულმა სომხმა უნდა იცოდეს: რუსეთი რომ არა, ყარაბაღი მთლიანად დაიკარგებოდა. ჰკითხეთ ყარაბაღის ხელმძღვანელს, — განაცხადა მარგარიტა სიმონიანი.“

ru-an.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მანუჩარიანი



პოპეოს ვიარნი, რომ საკრედიტო არჩევნებში დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა

„აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ „ტრამპის მეორე ვადით პრეზიდენტობის გადამამაჯალ მდორე პერიოდზე“ ილაპარაკა და უარი თქვა ბაიდენის გამარჯვების აღიარებაზე აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებში, — წერს CNN-ი.“

თქმით, ასეთი განცხადებები მათი სამუშაოს კომპრომეტაციას ემსახურება სხვა ქვეყნებში პატიოსანი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასა და ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემის საქმეში. პომპეომ კი ყველას შეახსენა 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როცა ყველაფერი სასამართლომ გადაწყვიტა. იმხანად გაიმარჯვა რესპუბლიკელმა ჯორჯ ბუშმა (უმცროსმა).

russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელა

სუკარბერბა ალიარა, რომ «ფეისბუქზე» 35 ათასი ხანოკი გუგოუს

ამერიკელმა სენატორებმა სასწრაფოდ გამოიძახეს ტექნოლოგიური გიგანტების ხელმძღვანელები — Alphabet/Google-ის დირექტორი სუნდარ პიჩაი, „ტივიტერის“ დამფუძნებელი ჯეიმს დორსი და „ფეისბუქის“ მფლობელი მარკ ცუკერბერგი. მოსმენის თემა იყო სკანდალური ისტორიები ონლაინ-ცენზორის შესახებ.



ნეს ფარისევლური დამოკიდებულება და ორმაგი სტანდარტი სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული ინფორმაციების მიმართ, რატომ არ ბლოკავდნენ, მაგალითად, ინფორმაციებს ტრამპის კავშირზე რუსეთთან, მაგრამ, როგორც კი ბაიდენზე გაჩნდა ნეგატიური ისტორიები, მყისვე დაიწყო მათი დაბლოკვა. მათი ცენზურა მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობს.

ამ მოსმენაზე ცუკერბერგმა აღიარა, რომ 2020 წელს დაიქირავა 35 ათასი ცენზორი, რომლებიც ყოველდღიურად აუქმებენ „არასწორ“ და არაპოლიტიკორექტულ კონტენტს. ექსპერტთა აზრით, ეს ცენზორები კორპორაციული გესტაპოს მანქანის პატარა ჭანჭიკები არიან.

საქართველოს საგარეო ვალა ერთ თვეში 230 მლნ დოლარით მოიმატა



საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ისევ იზრდება. 2020 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალმა 6 991 მლნ დოლარი, ანუ 22 602 მლნ ლარი შეადგინა. ეს 230 მლნ დოლარით მეტია წინა თვესთან შედარებით. სექტემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო საგარეო ვალი 6,761 მლნ დოლარს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ 6 991 მლნ დოლარიდან მთავრობის საგარეო ვალი 6 737 მლნ დოლარია, ხოლო ეროვნული ბანკის ვალი — 254,095 მლნ დოლარი. საქართველოს ყველაზე მსხვილი კრედიტორები არიან: აზიის განვითარების ბანკი (ADB); მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) და რეკონსტრუქციისა და განვითარების

ბანკი (IBRD). IDA-ს მიმართ ვალი 909 480 მლნ დოლარია; IBR-ის მიმართ — 1 073 მლნ, აზიის განვითარების ბანკის მიმართ კი — 1 415 მლნ. რაც შეეხება ქვეყნებს, ორმხრივი კრედიტორი ქვეყნებიდან გერმანია ლიდერობს, რომლის მიმართ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი, 31 ოქტომბრის მდგომარეობით, 2 278 მლნ ლარი იყო, მას მოსდევს საფრანგეთი — 1 791 მლნ ლარით; მე-3 პოზიციაზე კი იაპონიაა 703 817 მლნ ლარით.

BPN.GE

სარეზერვო ქართული მკითხველისთვის

— კეგელის «ლექსიები რელიგიის ფილოსოფიაზე»

გერმანულიდან ქართულად ითარგმნა, დაისტამბა და უკვე იყიდება უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის — გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის „ლექსიები რელიგიის ფილოსოფიაზე“. ეს საჩუქარი ქართველ მკითხველს რელიგიის დაულაღავე მკვლევარმა, გერმანელი ენიდან არაერთი ფილოსოფიური ნაშრომის მთარგმნელმა ვიქტორ რცხილაძემ და გამომცემლობა Carpe Diem-მა (დირექტორი ალექსანდრე ალადაშვილი) გერმანული „გოეთეს ინსტიტუტის“ დახმარებით გაუკეთეს.

წიგნი იყიდება თბილისში, მალაზია „ლატარნაში“ (ცოტნე დადიანის № 7, სავაჭრო ცენტრი „ქარვასლა“, მე-2 სართული) და რუსთაველის № 16-ში.



რუსულ ვაქცინა «სპუტნიკ V»-ს უნგრეთი რამდენიმე დღეში მიიღებს, სახელმწიფო კორპორაცია კი ვაქცინის 150 მლნ დოლარს ნაჩოვებს იწყებს

კორონავირუსის საწინააღმდეგო რუსული ვაქცინა „სპუტნიკ V“-ის პირველი ნიმუშები უნგრეთში მიმდინარე კვირაში მიიღებს, — განაცხადა რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა დენის მანტუროვმა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პეტერ სიარტოსთან მოლაპარაკებების გამართვის შემდეგ. შეხვედრის მთავარი თემა იყო რუსეთის მიერ შექმნილი ვაქცინის მიწოდების, აგრეთვე, მისი ერთობლივი წარმოების ორგანიზება უნგრეთში.

უნგრეთს სურს, რაც შეიძლება მალე შეისყიდოს რუსული ვაქცინა „სპუტნიკ V“, აგრეთვე, დაიწყოს მისი წარმოება. ამასთანავე, 13 ნოემბერს ცნობილი შეიქნა, რომ სამხრეთკორეულმა კომპანია CL Alpha-მ ხელშეწყობა გააფორმა რუსეთთან 150 მლნ დოლარის კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა „სპუტნიკ V“-ის წარმოებაზე.

russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მანუჩარიანი

საქართველო

თუ გზურთ, გაზიარეთ თქვენი მოსაზრებები და მსოფლიოში მიიღეთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საპროგრამო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:

„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მატეა“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge

საქართველო

ესტუბრით რვეს სიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეჯია

გაზიარებული ხელმძღვანელებს თანხმებული პრესის პრინციპებით. ავტორებს ექირებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894